ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6473731

ნომერი: AR1964061

თარიღი : 02.05.2023

გაცემის თარიღი : 23.05.2023

გაცნობის თარიღი : 23.05.2023

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შოთა ასპანიძე პ/ნ 35001120922
- ასპინძა ს. ნიჯგორი ვარძიის I ჩიხი N 2

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2023 წლის 02 მაისის №AR1964061 განმეორებითი განცხადება რომლითაც ითხოვთ სამსახურის 2023 წლის 27 მარტის №6386719 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლთან დაკავშირებით.

აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2023 წლის 05 მაისის №6448959 ბრძანებითა და 2023 წლის 17 მაისის №6465400 გადაწყვეტილებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ ხარვეზები სრულად არ არის გამოსწორებული, კერძოდ -3.27 ნიშნულის გეგმაზე „14-15“ და „ზ-ი“ ღერძებში მოქცეულ დამხმარე ფართზე, აგრეთვე, ამავე ნიშნულის გეგმაზე მდებარე A ბლოკის ავტოსადგომზე არ არის მითითებული სწორი ფართობები (ფართობები მეტობით არის დატანილი). ამასთან, გეგმებზე მითითებული საზაფხულო (1212.6 კვ.მ), აგრეთვე, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობების ჯამი, არ შეესაბამება მოთხოვნაში დაფიქსირებულ მაჩვენებლებს. საზაფხულო, დამხმარე, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს, აგრეთვე ავტოსადგომის ფართობების გასწორება გამოიწვევს საერთო ფართობის დაზუსტებასაც.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა დაზუსტებულ იქნეს მოთხოვნა საზაფხულო, დამხმარე, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს, ავტოსადგომისა და საერთო ფართობებთან დაკავშირებით. წარმოდგენილ იქნეს სამსახურის 2023 წლის 27 მარტის №6386719 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების იდენტური გეგმები (გეგმარების შეცვლის გარეშე). საჭიროა წარმოადგინოთ მხოლოდ გეგმები და ფართობების ჯამური მაჩვენებლები, სხვა დოკუმენტაციის (ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი 9-12 გვერდები) წარმოდგენა არ არის საჭირო.
ვინაიდან, სამსახურის 2023 წლის 17 მაისის №6465400 გადაწყვეტილებას გაეცანით 2023 წლის 17 მაისის ხოლო სამსახურს განმეორებით მომართეთ 2023 წლის 19 მაისს, ხარვეზის შევსებისთვის განსაზღვრული 28 (ოცდარვა) სამუშაო დღიდან დარჩენილია 26 (ოცდაექვსი) სამუშაო დღე.
სამსახური გაძლევთ ხარვეზის შევსების შესაძლებლობას 26 (ოცდაექვსი) სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი2023 წლის 02 მაისის №AR1964061 განცხადება დარჩება განუხილველი.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.